თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

საარჩევნო კომისია

თსსუ -ის რექტორის 2023 წლის 30 ნოემბრის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

თბილისი 30 ნოემბერი 2023 წ.

არჩევნები ჩატარდა ქ. თბილისში, ვაჟა–ფშაველას გამზ. N33. თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სართულზე არსებულ „სხდომათა დარბაზში" სადაც განთავსდა საარჩევნო სიები და კენჭისყრის კაბინა.

არჩევნები გაიმართა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (დამტკიცებულია თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადგენილებით) მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 17:02 საათზე. კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრა დაიწყო 17:14 საათზე.

კენჭისყრის დაწყებამდე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 17:30 საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

თსსუ-ის რექტორის არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილი 21 წევრიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 21 პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 100-%-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატებზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა ---21---

ირაკლი ნატროშვილი ---21--- ხმა

ალექსანდრე კაციტაძე ---0--- ხმა

ზაზა ავალიანი ---0---ხმა

ბათილად იქნა ცნობილი ...0... ბიულეტენი.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

ჩატარებულად ჩაითვალოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.

1. **თსსუ-ის რექტორად არჩეულ იქნეს:**

ირაკლი ნატროშვილი

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. ყურაშვილი

კომისიის მდივანი ს. შარიქაძე

კომისიის წევრები: ს. ბერია

ვ. ბეროშვილი

ა. ნიშნიანიძე